ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ.ვანი თავისუფლების N65 1 ივნისი 2021 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, მალხაზ ცერცვაძე, დავით ხარძეიშვილი, შოთა გიორგაძე, აპოლონ რამიშვილი, რობიზონ ფუტკარაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე.დავით ადეიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო პაიკიძე, სანდრო ხურციძე, გია ოჩხიკიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

*/**დანართი N1/***

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)**

მოწვეული პირი: *ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი* - ***ზვიად კაპანაძე.***

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ზედა მუქედში დამისამართებულ N01 და N04 ქუჩებისთვის ,, მიხეილ დვალიშვილის“ სახელის მინიჭების შესახებ.

მომხს: გიგა გოგიბერიძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა გოგიბარიძემ კომისიის წევრებს გააცნო მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ზედა მუქედში დამისამართებულ N01 და N04 ქუჩებისთვის ,, მიხეილ დვალიშვილის“ სახელის მინიჭების შესახებ ინფორმაცია.

კომისიის წევრების მხრიდან მოწონებული იქნა წარმოდგენილი საკითხი, რაც დაადასტურეს დასკვნაზე ხელის მოწერით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე
ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე